



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა
ინოვაციური აქტივობა
2018



11.11.2019

www.geostat.ge

11.11.2019

საწარმოების ინოვაციური აქტივობა გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2018 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში საწარმოთა 3.2 პროცენტმა ბაზარზე შემოიტანა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი, ხოლო იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში დანერგეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება, განისაზღვრა ასევე 3.2 პროცენტით.


საქონლისა და მომსახურების ინოვაციები უმეტეს შემთხვევაში საწარმოების მიერ დამოუკიდებლად იყო შემუშავებული (შესაბამისად 60.1 პროცენტი და 45.8 პროცენტი). სხვა შემთხვევებში ამ მიმართულებით მათ მხარდაჭერა მიიღეს სხვა საწარმოებისგან ან დაწესებულებებისგან. ამასთან, განხორციელებული ინოვაციების 44.9 პროცენტი ახალი იყო საწარმოებისთვის, ხოლო 55.1 პროცენტი - სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის.

საწარმოთა ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში შედარებით მაღალი წილითაა გამოხატული ისეთ სფეროში, როგორცაა მანქანა - დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა - 20.8 პროცენტი. საკმაოდ მაღალი წილი ჰქონდა ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებულ სწავლებას (15.1 პროცენტი), საკუთარ კვლევებსა და დამუშავებებს (13.6 პროცენტი) და დიზაინს (13.4 პროცენტი):

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

11.11.2019

საწარმოს ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში საწარმოთა 31.2 პროცენტმა განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები პროდუქციის ესთეტიკურ დიზაინსა და შეფუთვაში, 28.7 პროცენტმა შეიმუშავა საქონლის/მომსახურების ფასდადების ახალი სისტემა, 20.7 პროცენტმა უზრუნველყო ახალი მედიის ან ტექნიკის შემოტანა პროდუქციის პოპულარიზაციისთვის.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge